ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება # 29

ქ. ცაგერი 31 მაისი 2011 წელი

ცაგერის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების საწვავის შესყიდვისათვის თანხის გამოყოფის შესახებ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის #2 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

“ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 43-ე და 44-ე მუხლების, `ნორმატიული აქტების შესახებ~ საქართველოს კანონის 20-ე მუხლის, “საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად`ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვებისათვის საწვავის შესყიდვის მიზნით თანხის გამოყოფის შესახებ~ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 28 იანვრის #2 განკარგულებაში შეტანილი იქნეს ცვლილებები:

1. განკარგულების პრეამბულის მე-2 აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ადგილობრივი სამგზავრო საავტომობილო გადაზიდვების რეგულირების, მოსახლეობის ინტერესების დაცვისა და მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით 2011 წლის ბიუჯეტიდან ცაგერი-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვირიშისა და ცაგერი-ტვიშის მიმართულებით მოძრავი საავტომობილო ტრანსპორტისათვის შპს `საჭე ცაგერს~ გამოეყო ყოველთვიურად 360 ლიტრი დიზელის საწვავის შესასყიდი თანხა, მიმდინარე წლის იანვრის თვეში საწვავის ღირებულება საზოგადოებას გადაეცა გამარტივებული შესყიდვისათვის საქართველოს მთავრობის 2011 წლის 5 იანვრის #1 განკარგულების შესაბამისად შპს `საჭე ცაგერის~ დირექციის მიერ დიზელის საწვავის შესყიდვაზე სამჯერ გამოცხადდა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, (2011 წლის 2 მარტი, 15 მარტი და 18 აპრილი) მაგრამ მასში პრეტენდენტმა მონაწილეობა არ მიიღო, რის შედეგად საზოგადოება მგზავრთა ბრუნვის სიმცირის გამო დანახარჯებს ვერ ანაზღაურებს, რის გამოც პერიოდულად იშლება მარშრუტები, რაც მომხმარებელთა უკმაყოფილების მიზეზი ხდება, შექმნილი მდომარეობიდან გამომდინარე შპს `საჭე ცაგერის~ დირექცია აყენებს

წინადადებას მიმდინარე წლის 6 თვეში არარენტაბელურ ხაზზე სუბსიდიის გამოყოფის შესახებ. ცაგერი-ლაილაში-თაბორის მარშრუტზე თვეში 120 ლიტრი, ცაგერი-ტვიშის რეისზე 160 ლიტრი, ხოლო ცაგერი-ღვირიშის მიმართულებაზე-80 ლიტრი, სულ თვეში 360 ლიტრი, ხოლო 6 თვეში 2160 ლიტრი, თანხით 4968 ლარი, რითაც გაუმჯობესდება მგზავრთა გადაადგილების მდგომარეობა, საავტომობილო გადაზიდვები რეგულარული გახდება.

2. განკარგულების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

2011 წლის 6 თვეში ადგილობრივი სამგზავრო გადაზიდვების რეგულირების და მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტის 2011 წლის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლიდან (05.04. `მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები~) ცაგერი-ლაილაში-თაბორის, ცაგერი-ღვირიშის და ცაგერი-ტვიშის მარშრუტებზე მოძრავი საავტომობილო ტრანსპორტისათვის ყოველთვიურად გამოიყოს 360 ლიტრი დიზელის საწვავის შესაძენი თანხა 4968 ლარის ოდენობით.

3. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ცაგერის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ლეთოდიანი